პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო.

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 მაისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 97 (9764) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

წელს და მომავალში ჩატარდება კომპლექსური სპორტული ღონისძიებები: საქართველოს X საზაფხულო სპარტაკიადა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ჭაბუკთა და ახალგაზრდული საკავშირო თამაშები, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და ოლიმპიური თამაშები.

გუშინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გაიმართა ამ სპორტული ღონისძიებების ჩატარების, რესპუბლიკის სპორტსმენთა მზადებისა და მონაწილეობის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.

## 22 მაისი ქართული ჭიდაობის დღეა


ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის სახეობებში, საუკუნეთა სიღრმიდან რომ მოჰყვება ერს, მისი სული, მისი ნიშან-თვისება გამოსჭვივის. ქართული ჭიდაობაც ვაჟკაცობისა და რაინდობის თავისებური აკადემია იყო და მრავალი წლის მანძილზე ისიც ასაზრდოებდა ქართველი კაცის მისწრაფებას სიჩაუქისა და სრულყოფისაკენ.

22 მაისს ქართული ჭიდაობის ტრადიციულ დღეს აღვნიშნავთ. უნდა გამოვიყენოთ ყველაფერი, რაც ამ ზეიმის ღირსეულად ჩატარებაში დაგვეხმარება: კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები თუ მარტივი ტიპის მოედნები, ქალაქების, რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების, სპორტული სარბიელები. ზეიმის ორგანიზაციაში უნდა ჩავაბათ ქართული ჭიდაობის ენთუზიასტი, მცოდნე ხალხი, ვეტერანები, სპორტული სკოლებისა და ჯგუფების მწვრთნელები და მოწაფეები, ფიზკულტურის მასწავლებლები, მეთოდისტები... ქართული ჭიდაობის დღე სანიმუშო სპორტულ დღესასწაულად, ნამდვილ სახალხო ზეიმად უნდა იქცეს.

გამოხმაურება წერილზე: „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე"

# საერთო დაინტერესება, წინადადებები...

● დღესაც ვხედებით მოსწავლე ახალგაზრდებისა და სტუდენტთა ისეთ ნაწილს, რომლებიც ფიზიკური მომზადების მაჩვენებლებით საგრძნობლად ჩამორჩებიან წვევამდელთა და ჯარისკაცთა მომზადების მოთხოვნებს. ბევრი მოსწავლე და სტუდენტი ვაჟი ვერ აბარებს დადგენილ ნორმატივებს (გოგონებზე არაფერს ვიტყვით, აქ უფრო მძიმე მდგომარეობაა). სკოლებში ფიზიკური აღზრდა მეორეხარისხოვანი საგანია, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. დამამთავრებელ კლასებში კი ჩათვლები ფიზაღზრდაში ფორმალურ ხასიათს ატარებს. ახლა რამდენიმე სიტყვა „ლელოში" გამოქვეყნებული ნორმატივების შესახებ. სწორად მიგაჩნია ნორმატივების შერჩევა — რბენა 100 მ-ზე გოგონებისთვის და ვაჟებისთვის სისწრაფის გამოსავლენად; რბენა 500 მ-ზე გოგონებისთვის და 1000 მ-ზე ვაჟებისთვის გამძლეობის გამოსავლენად; ძელზე მიზიდვა ვაჟებისთვის და ზურგზე წოლილა მდგომარეობიდან წამოჯდომი (ხელები თავს უკან) ძალის გამოსავლენად. ჩვენ მხარს ვუჭერთ ნორმატივების ჩაბარების II ვარიანტს (შემდგომში გამოცდების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ მშდ კომპლექსის III საფეხური, რომელსაც მოსწავლეები აბარებენ სკოლის დამთავრების დროს).

ახლა, რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმს. აქ სწორ ფორმად მიგვაჩნია ხუთბალიანი შეფასების სისტემა, რომელიც გაზრდის თითოეული ჩამბარებლის პასუხისმგებლობას და აამაღლებს საგნის ავტორიტეტს. გამოცდები ფიზკულტურაში პირველ რიგში უნდა ჩატარდეს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ნათელი სურათი ვიქონიოთ თითოეული აბიტურიენტის ფიზიკურ მომზადებაზე, მის შესაძლებლობებზე. მაგრამ თუ იგი მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას (ან დამაკმაყოფილებელს), მომდევნო გამოცდებზე მაინც უნდა გავიდეს, ოღონდ დაგროვილ ქულათა ჯამს დაემატოს ფიზაღზრდის საგანში მიღებული ქულათა რაოდენობა. ასეთი ფორმით გამოცდების ჩატარება შესაძლებლობას მოგვცემს არ

იხ. მე-2 გვ.



## უნივერსიადა-88

ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში, რომელიც სოხუმში ჩატარდა, 13 გუნდი ჩაება. ამ ასპარეზობაში პირველ ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, მეორე იყო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მესამე—სპი-ს წარმომადგენლები. ქალთა პირველობაც იქვე გაიმართა. 8 გუნდი იბრძოდა პირველობისათვის. უძლიერესის სახელი აქაც ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს ხვდა წილად, II ადგილზეა სპი, III-ზე—თბილისის უნივერსიტეტი.

ქალთა შეჯიბრებაში 12 გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ სუსტი მომზადების გამო შეჯიბრებიდან მოხსნეს ბათუმის, ქუთაისის და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივები. საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სპორტკლუბმა წინასწარი განაცხადი კი წარადგინა, მაგრამ შეჯიბრებაზე გუნდი საერთოდ არ გამოცხადდა. უნდა ითქვას, რომ როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა გუნდებმა შეჯიბრებაზე მეტად სუსტი მომზადება გამოავლინეს.

„ლელოს" კორ.

## ს. ტერელაძეს—მსოფლიო პირველობის საგზური

სამტრედიელი ოსტატის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა მოსკოვში მიმდინარე 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიოს პირველობის საგზურის პრეტენდენტთა მატჩი სოფიკო ტერელაძესა და იულია ლევიტანს შორის.

მატჩის ბედი გადაწყდა V პარტიაში, სადაც გათამაშდა ესპანური პარტია, შავებით მოთამაშე ტერელაძემ იშვიათ გაგრძელებას მიმართა და სწრაფად გაათანაბრა პოზიცია, შემდეგ კი ძლიერი შეტევით 44-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებოდა.

ამრიგად, ანგარიში გახდა 3,5:1,5 სოფიკო ტერელაძის სასარგებლოდ. რეგლამენტით გათვალისწინებული VI პარტია აღარ გაიმართება, რადგან მისი შედეგი გავლენას ვეღარ იქონიებს მატჩის ბედზე. ვულოცავთ სამტრედიელ გოგონას ამ წარმატებას.

ბეჟან ჩხაიძე.
(მოსკოვი, ტელეფონით).

## +1



ეს ლამაზი შენობა სულ ახლახანს მიიღეს საჩუქრად ჩვენმა მხედრებმა. საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზისთვის იგი ამავე კომიტეტის სპორტულ ნაგებობათა სამმართველომ ააგო. შენობაში განთავსებულია აღდგენითი ცენტრი — გასახდელებით, საშხაპეებით, საუნით, საექიმო კაბინეტით. მეორე სართული მთლიანად სასტუმროს დაეთმო. ამჟამად აქ შეკრებაზე არიან რესპუბლიკის ჭაბუკ ცხენოსანთა ნაკრები გუნდის წევრები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ორი გამარჯვება სტარტზე

სტრასბურგი. საბჭოთა ჩოგბურთელი ქალები ინტენსიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში. აი, ახლაც, ორი მათგანი — ნატალია ზვერევა და ლეილა მესხი საფრანგეთის ამ ქალაქში იმყოფება.

დიდი საერთაშორისო ტურნირის პირველ წრეში ზვერევამ, რომელიც პირველ ნომრად იყო განთესილი, ჩეხოსლოვაკიელი ო. ვოტავოვა დაამარცხა — 6:2, 7:5. ლეილა მესხის მეტოქე აშშ-ს წარმომადგენელი ამერიკელი პ. ბარგი იყო. თბილისელმა ჩოგბურთელმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრისთვის იბრძვის, სტარტზე იოლ გამარჯვებას მიაღწია — 6:0, 6:2.

## 32-ე ფინიში

ვარშავა. მშვიდობის ველორბოლის მერვე ეტაპი (150 კილომეტრი) გდრ-ის წარმომადგენელმა ოლაფ ლუდვიგმა მოიგო. დისტანცია მან 3:51.32-ში დაფარა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ლუდვიგის 32-ე გამარჯვებაა მშვიდობის ველორბოლების ეტაპებზე.

მეორე ადგილი ტაშკენტელმა ჯ. აბდუჟაპაროვმა დაიკავა, მესამე — უ. რააბმა (გდრ).

რვა ეტაპის ჯამში ლიდერობას გდრ-ის გუნდის მეორე წევრი უვე ამპლერი ინარჩუნებს (ამჯერად იგი ფინიშთან მეექვსე იყო). გუნდურ ჩათვლაში წინ კვლავ საბჭოთა ველოსიპედისტები არიან.

## ტრადიციულ შეხვედრაზე

ამას წინათ, თბილისელმა სპორტსმენმა ხრისტინა ფალასანიძემ ევროპის თასის გათამაშებაში ჯგუფურ ვარჯიშში, პირველი ადგილი დაიკავა, მეორე იყო წყვილთა და ერთეულთა ვარჯიშში, ქვეყნის ნაკრებმა კი, რომლის შემადგენლობაში ფალასანიძე ასპარეზობდა, ევროპის თასი მოიპოვა.

ამ დღეებში ფალასანიძე რესპუბლიკის სპორტსახკომში მიიწვიეს. კომიტეტის ხელმძღვანელობამ სახელოვან სპორტსმენს მადლობა გადაუხადა მიღწეული წარმატებებისათვის. შეხვედრისას ხ. ფალასანიძემ თქვა, რომ ძალღონეს არ დაზოგავს, რათა განიმტკიცოს პოზიციები ქვეყნის ნაკრებ გუნდში და მონაწილეობა მიიღოს სეულის ოლიმპიურ თამაშებში.

## ფეხბურთი კინოხელოვნებაში

ავსტრიის კინოარქივის ინიციატივით ვენის ერთ-ერთ კინოთეატრ „ბრიგიტენაუში" დაიწყო კინოს კვირეული. ამ საინტერესო კვირეულის პროგრამაშია ფეხბურთის ისტორიისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ქვეყნის სტუდიების ნაწარმოები მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმები.

რეტროსპექტული ჩვენების პროგრამაშია 12 კინოფილმი, მათ შორის არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" სურათი „პირველი მერცხალი".



## 19 მაისი — ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღე!





# საერთო დაინტერესება, წინადადებები...

(დასასრული)

დავუკარგოთ აბიტურიენტს თეორიული ცოდნა და უმაღლესში მოხვედრის შანსი (**ცოტე იხკანდარაშვილი, გიორგი არუთინოვი, გივი ჯაფარიძე** — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებლები).

● მეც მაღელვებს სტუდენტობის საკმაოდ დიდი ნაწილის უაღრესად სუსტი აღნაგობა, რაც, ძირითადად, ფიზკულტურისადმი, შრომითი ჩვევებისადმი თავის არიდებით არის გამოწვეული. სუსტი და დაჩიავებული კაცი კი, მოგეხსენებათ, არც მეცნიერად, არც მეომრად, არც მუშად და არც ერის გასამრავლებლად არ გამოდგება.

მომხრე ვარ, შემოღებული იქნეს თქვენს მიერ 12 მაისის ნომერში შემოთავაზებული ნორმატივები. წელსკე, ყველა ინსტიტუტში, საბუთების შეტანისას მოეწყოს აბიტურიენტთა შემოწმება გამოცდის სახით და ვინც ვერ დაიმსახურებს შეფასებას არ იქნეს დაშვებული შემდეგ გამოცდებზე. მაშინ ნახეთ ფიზკულტურული ბუმი ჩვენს რესპუბლიკაში! ეს ღონისძიება 2-3 წელიწადში რადიკალურად გამოასწორებს ახლანდელ სამარცხვინო მდგომარეობას (**მ. ყურაშვილი**, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიკომის თავმჯდომარე).

● ესლა გვაკლდა! ჯერ ხომ ისედაც ნორმალურ ვითარებაში ტარდება მისაღები გამოცდები, ახლა კიდევ ფიზკულტურაში გამოცდისა თუ ჩათვლის სახით დამატებითი და, რასაკვირველია, არაჯანსაღი აჟიოტაჟი წარმოვშვათ? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისედაც რთულ და ნერვიულობით აღსავსე საგამოცდო „თარჯრბენის“ გზაზე სახელდახელოდ უნდა აღმართონ ახალი ბარიერი.

იმაზე თუ დავფიქრდით, ასეთი გამოცდის შემოღება პროტექციონიზმისა და მოქრთამვის ახალ მოტივებს რომ გააჩენს? ეგებ შესაფერისი რეპეტიტორებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ფიზკულტურაში მოგვიმზადებენ შვილებს — ნეტავ დრო მაინც გვქონდეს საამისოდ.

მთავარი კი აი, ჩემი აზრით, რა არის: ცნობილია, რომ ბუნებისაგან ტალანტების განაწილება სიგამხდრე-სიმსუქნეზე არაა დამოკიდებული, ვთქვათ, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შედის ხალასი მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილი, რომელიც, მისდა საუბედუროდ, მსუქანია და 100 მეტრს 15 წამში ვერ გაირბენს. რა ვქნათ, არ მივიღოთ? ან ნიჭიერ გოგონას, რომელსაც, „დამატებით“ რეპეტიტორებთან სიარულისგან ლოყებში სინათლე გასდის და 500 მეტრს საერთოდ ვერ დაფარავს — უმაღლესის კარი მოვუხუროთ?

დრომ მოიტანაო? არ ვიცი, ეს გამოცდა მოიტანა თუ არა დრომ — ის კი დიდი ხანია მოიტანა, რომ მეტს უნდა ვაშენებდეთ სპორტულ ბაზებს, დარბაზებს, მოედნებს, აუზებს და ა. შ. და კიდევ: რაც გვაქვს, იმასაც უნდა ვინარჩუნებდეთ — ხომ ფაქტია, რომ ბევრგან სპორტული სივრცეები თვალსა და ხელს შუა გვიქრება (**თამაზ ებანოიძე**, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, თბილისი).

● ჩვენ შვილებს, უკვე იმ მომენტიდან, როცა ფეხს და ენას აიდგამენ, რას აღარ ვასწავლით, რაზე აღარ ვოცნებობთ. გვსურს, რომ ისინი ცხოვრებაში ღირსეული ადამიანები გახდნენ, მაგრამ გვავიწყდება, რომ მხოლოდ ცოდნა ჯანმრთელობის გარეშე ის „განძია, რომელსაც ბრწყინვალება აკლია“. გვგონია ჯანმრთელობა თავისთავად მოვა. ძალიან ვცდებით. შვილები დაგვყავს უცხო ენებზე, მუსიკაზე, ხატვაზე და, ვინ იცის, კიდევ რით არ ვართმევთ ბავშვებს თავისუფალ დროს, თამაშის უფლებას და, პირდაპირ ვთქვათ, ბავშვობას. რომ წამოიზრდებიან სასკოლო საგნებშიც აგვყავს რეპეტიტორები. ფიზკულტურა ისევ და ისევ გვავიწყდება. ასე თანდათან კვდება ადამიანში ბუნებისგან ნაბოძები მოძრაობითი აქტიობის მოთხოვნილება. მე ვფიქრობ, ჩინებულ თაოსნობას ჩაეყარა საფუძველი. მერწმუნეთ, ადრე თუ გვიან ეს სიახლე ყველგან, მთელ კავშირში დაინერგება. ისე კი, რაც ადრე დავიწყებთ, მით უკეთესი. დასამალი არაფერია, მშობლები იძულებული გახდებიან იზრუნონ იმაზე, რომ მათი შვილები პატარაობიდანვე ეზიარონ ფიზიკური კულტურის სიკეთეს, ბავშვობაში გამომუშავებული ჩვევა კი დიდ და სასარგებლო სამსახურს გაუწევს ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე. ეს ღონისძიება შესაძლებლობას მოგვცემს სრული დატვირთვით გამოვიყენოთ სპორტული ბაზები, რომლებიც არც თუ ისე ცოტაა, როგორც გვგონია.

ხალხში გაიგონებთ, ახლა საპროტექციო საგანი ფიზკულტურაც გახდაო. ამ მითქმა-მოთქმამ არ უნდა შეგვაშინოს და სიახლეს გზა არ უნდა გადავუკეტოთ. პროტექციონიზმს უმაღლესში მისაღებ სხვა საგნებშიც უჩენია თავი, მაგრამ ამ მიზეზით არავის გააუქმებია იმ საგნებში მისაღები გამოცდები. პროტექციონიზმს უნდა ვებრძოლოთ. ჯანმრთელობა კი ყოველთვის აუცილებელია (**მალხაზ ხანიშვილი**, პედაგოგი, თბილისი).

● ყურადღებით წავიკითხე 12 მაისის „ლელოში“ გამოქვეყნებული წერილი „ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე“. ეს წინადადება ძალიან მომეწონა. მე თვითონ პედაგოგი ვარ და ვხედავ, როგორ ცდილობს მოსწავლეთა ნაწილი თავი აარიდოს ფიზკულტურის გაკვეთილებს, „ავიწყდებათ“ სპორტული ფორმის მოტანა, ან ჩაიცვამენ ფორმას და... სულ ესაა მათი ფიზკულტურის გაკვეთილი.

ძალიან ხშირად მოსწავლეთა ასეთ ინერტულობას თვითონ მშობლები უწყობენ ხელს. ისინი ყველანაირად ცდილობენ ფიზკულტურის გაკვეთილებიდან შვილების განთავისუფლებას და ყალბი ცნობების „გახერხებას“. ნუთუ არ უფიქრდებიან იმას, რომ ამით საკუთარ შვილებს დათვურ სამსახურს უწევენ? ნუთუ რაიმე ახსნა-განმარტება ან მტკიცება სჭირდება იმას, თუ რა დიდია ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა მოზარდის სხეულის გაკაჟებისა და ჩამოყალიბებისათვის? მე თვითონ აქტიური სპორტსმენი არა ვარ, მაგრამ ყოველდღე 10-12 კილომეტრს ფეხით დავდივარ სახლიდან სკოლაში და უკან.

რაკი ამ სასწავლო წელს პირველად იქნება ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ უპირატესობა მიენიჭოს ჩათვლას. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ ჩათვლა ჩატარდება მისაღები გამოცდების დაწყებამდე. (**ქეთო კახრაძე**, თბილისის 44-ე საშუალო სკოლის პედაგოგი).

● ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე აუცილებელია. მე მხარს ვუჭერ გამოცდას და არა ჩათვლას, როდის ჩატარდება გამოცდა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. (**შავლეგ ძინძიბაძე**, 71-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე).

● წელს გამოცდები იქნება თუ ჩათვლები, ამას ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია დავიწყოთ, მაგრამ კონსულტაციებიც ნუ დაგვავიწყდება. სპორტულ ბაზებზე შემოვიღოთ სპეციალისტების მორიგეობა, რათა აბიტურიენტებმა მიიღონ რჩევა, წინასწარ შეამოწმონ თავიანთი შესაძლებლობები. (**გელა ბურჯანაძე**, ინჟინერი, თბილისი).

სასკოლო ფიზკულტურა

# ზღვარს გადასული უპასუხისმგებლობა

ლახტის წრეში

სასკოლო ფიზკულტურა რომ ბევრგან არ დგას სასურველ დონეზე და სასიკეთო გარდაქმნას მოითხოვს, ეს ყველას კარგად მოეხსენება. უცხო და უჩვეული არც ის არის, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში სამწუხაროდ ჩამორჩენა ძირითადად განაპირობა გულგრილობამ და უპასუხისმგებლობამ, ფიზკულტურისადმი, როგორც ერთ-ერთი მთავარი სასწავლო საგნისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ. ტიპობრივი მაგალითი გნებავთ? თუნდაც დმანისის რაიონის სოფელ განთიადის საშუალო სკოლა ავიღოთ. ამას წინათ რედაქციაში საჩივარი შემოვიდა ამ სოფლიდან. განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად ჩავედით ადგილზე, მდგომარეობას გავეცანით და პირდაპირ აღშფოთებული დავრჩით. სკოლის ხელმძღვანელობა, პედკოლექტივი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ამ სკოლაში, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივად უგულებელყოფენ ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური კულტურის მნიშვნელობას. განა საგანგაშო არ არის, რომ დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების მინიმუმსაც არ ასრულებენ? „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი“ — დებულების — ეს სადირექტივო მოთხოვნაც აქ ლიტონ სიტყვებად რჩება.

კონსტატაციის სახით ამთავითვე შეიძლება ითქვას: ფიზიკური აღზრდის, როგორც სასკოლო საგნის სწავლების გაუმჯობესებისათვის განთიადის სკოლაში არავითარი ღონისძიებები არ ხორციელდება. თუ კონკრეტულ ფაქტებზე მიდგება საქმე, მაშინ უნდა ითქვას, რომ არავინ ამოწმებს ფიზკულტურის გაკვეთილების ხარისხს, არ ტარდება სასკოლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე შეჯიბრებები, მშდ კომპლექსის ნიშნოსნებსა და თანრიგოსნებს ქაღალდზე, ხელის ერთი მოსმით „ამზადებენ“ და თვითნებურად უვლიან გვერდს დადგენილ მოთხოვნებს.

ახლა კლასებშიც შევიხედოთ. დაწყებით კლასებში ფიზკულტურას ასწავლიან არასპეციალისტები (სხვა საგნების მასწავლებლები). საკლასო ჟურნალებში აღნიშნული ჩანაწერებიც კი მათს არაკომპეტენტურობასა და უპასუხისმგებლობაზე მეტყველებენ. თუმცა, სპეციალისტთა ხელი არც მაღალ კლასებს ეტყობა. არ ეტყობა იმიტომ, რომ ფიზკულტურას აქაც არასპეციალისტები ასწავლიან (სამხედრო სწავლების მასწავლებელი ი. იბრაგიმოვი, აგრეთვე სახალხო განათლების ინსპექტორი ე. პეტროვი). არ გიკვირთ? რაიონის სახალხო განათლება, რომელიც სკოლის სპეციალისტებით უზრუნველყოფისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის უნდა ზრუნავდეს, თავად არღვევს წესსა და კანონს.

ბარემ სკოლის მატერიალურ-სპორტულ ბაზაზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. სპორტული დარბაზი მოუწესრიგებელია. იმ ინვენტარით, რომელიც სკოლას გააჩნია, შეუძლებელია სასწავლო პროგრამის ათვისება. მოუწყობელია მოსწავლეთა გასახდელები, მასწავლებლებს არა აქვთ სამუშაო ოთახი და... სკოლას არ გააჩნია მარტივი ტიპის ღია მოედანიც კი (?!).

საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი მეკლდეურობაში

# საშმპარდნოსა და კაცხის სვეტის კლდეებზე

**სამი** წელია, რაც მოსწავლეთა შორის საქართველოს პირადგუნდური ჩემპიონატი მეკლდეურობაში ტარდება ჭიათურაში, სადაც საუკეთესო ბუნებრივი პირობებია სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის.

მეკლდეურობა დღითიდღე სულ უფრო პოპულარული ხდება როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ წელს თებერვალში ვენაში გამართულ ალპინიზმის საერთაშორისო ფედერაციის (უიაა) გენერალური ასამბლეის სხდომაზე დადგინდა ევროპისა და მსოფლიო თასის გათამაშება ყოველწლიურად, ამასთან, 1992 წლისათვის სავარაუდოა, რომ მეკლდეურობას ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანენ. შორს არ არის ის დღე, როდესაც მეკლდეურობა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაშიც იქნება. ამდენად, ჭიათურაში ჩატარებული მოსწავლეთა ჩემპიონატი სასიამოვნო სიურპრიზი იყო პირველ რიგში იმით, რომ გუნდების სარეკორდო რაოდენობა (12 გუნდი) მონაწილეობდა. მეორეც, რაც მთავარია, შესამჩნევად ამაღლდა მონაწილეთა მომზადების დონე.

ჩემპიონატში მეტწილად განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მთამსვლური სპორტული სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ, გამონაკლისი მესტიის რაიონის სოფელ მულახის გუნდია.

ამ სოფელში სულ რამდენიმე თვის წინ პროფკავშირული სპორტსაზოგადოების მთამსვლური სპორტული სკოლა გაიხსნა და მან უკვე კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა.

შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა, 1970-72 და 1973-75 წლებში დაბადებული ჭაბუკები და გოგონები სამ სახეობაში ასპარეზობდნენ. გუნდური გამარჯვებისთვის ბრძოლა მესტიის I და II, აგრეთვე თბილისის I ნაკრებ გუნდებს შორის გაჩაღდა. პირველი დღიდანვე დაწინაურდა მესტიის I გუნდი, რომელსაც ბოლომდე არ დაუთმია ლიდერობა და 1198, 38 ქულით გაიმარჯვა, მეორე ადგილზე 941,50 ქულით თბილისის I გუნდი გავიდა, ხოლო III ადგილი 795,07 ქულით მესტიის II გუნდმა დაიკავა.

შესაბამისად მე-4, მე-12 ადგილები გუნდებს შორის ასე განაწილდა: მულახი (616,80), ლენტეხი I (584,78), თბილისი II (495,73), ჭიათურა I (466,55), ქარელი (400, 79), ჭიათურა II (317,60), ყაზბეგი (227,62), ლენტეხი II (158,32), ონი (23,72).

განსაკუთრებით გამოირჩინა თავი მესტიის I გუნდის წევრმა ნინო კვანჭიანმა, რომელმაც ამჯერადაც უფროსი ასაკის გოგონებს შორის დიდი უპირატესობით მოიგო სამივე სახეობა და აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. მან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. უმცროსი ასაკის გოგონათა შორის ოთხ ოქროს მედალს დაეპატრონა მისი თანაგუნდელი ნინო ჩართოლანიც, ხოლო უმცროსი ასაკის ჭაბუკებში ტოლი არ ჰყავდა თბილისის I გუნდის წევრს ნუკრი კვეზერელს, რომელსაც ასევე ოთხი ოქროს მედალი ხვდა წილად.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის წყვილთა გარბენში და ინდივიდუალურ ცოცვაში (მოკლე ტრასა) პირველი იყო ალექსი კვანჭიანი, მეორე ადგილები კახა გურჩიანმა დაიკავა (ორივე მესტიის I გუნდი), მესამე — კობა ასაშვილმა (თბილისი I, წყვილთა გარბენი) და კობა გურჩიანმა (მესტია I, მოკლე ტრასა) მოიპოვეს.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა ინდივიდუალური ცოცვისათვის ძალზე საინტერესო და რთული მარშრუტი იყო გაყვანილი საშევარდნოს კლდეებზე, სადაც მონაწილეებს ორი უარყოფითი მონაკვეთი უნდა დაეძლიათ. სტარტზე გასული პირველი ათეულიდან ტრასა ვერავინ დაამთავრა — მოუმზადებლობის გამო შეჯიბრებიდან იხსნებოდნენ. პირველმა მარშრუტი ჭიათურის II გუნდის წევრმა ზურაბ ნოზაძემ დაამთავრა, მისი დრო — 21,56 წუთი, საუკეთესოდ რჩებოდა, სანამ სტარტს მესტიის I გუნდის წევრი კობა გურჩიანი აიღებდა. კობამ შესანიშნავად გაიარა ეს მეტად რთული ტრასა და საუკეთესო შედეგით (5.41) პირველი ადგილი დაიკავა. იგი აბსოლუტური ჩემპიონიც გახდა თავის ასაკში.

შეჯიბრებამ ზოგიერთი რაიონისა თუ ქალაქის განათლების განყოფილებათა სრული უმოქმედობა გვიჩვენა. მაგალითად, ქუთაისში 3 წელზე მეტია მეკლდეურთა 2 ჯგუფია გახსნილი, მაგრამ ისინი შარშანდელ შეჯიბრებაზე მოუმზადებელი გუნდით წარსდგნენ, წელს კი საერთოდ არ ჩამოსულან. გუნდი არ ჩამოიყვანა აგრეთვე ცხინვალმა, ხოლო ონელები მხოლოდ ჭაბუკებით და, ისიც ძალზე სუსტად მომზადებულნი წარსდგნენ პირველობაზე.

სამწუხაროა, რომ მსგავსი შეჯიბრება, სადაც მასობრივად მონაწილეობენ მოსწავლეები, ჩვენთან წელიწადში სულ 2-ჯერ თუ ტარდება მაშინ, როდესაც სხვა რესპუბლიკებში 3-4-ზე მეტი შეჯიბრება იმართება.

დასამალი არ არის ისიც, რომ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი პერსპექტიული მოზარდი იკარგება,



ნინო კვანჭიანი.

და ეს ხდება იმის გამო, რომ იგი ვერსად აგრძელებს დაოსტატებას. ერთადერთი დაოსტატების ჯგუფი, რომელიც საქართველოს ალპიურ კლუბთან არსებობს, საკმარისი არ არის, ხოლო ძირეულ კოლექტივებში, სადაც მთამსვლელობის სექციები არსებობს, მუშაობა თითქმის ჩაშლილია, — არ არის საკმარისი მწვრთნელ-სპეციალისტთა კადრები. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მეკლდეურობის სპეციალობით 1984 წლიდან მხოლოდ ორი სტუდენტი მიიღეს, მაშინ როდესაც არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 14 თებერვლის ერთობლივი დადგენილება, სადაც აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად მთამსვლელობისა და მეკლდეურობის სპეციალობით ინსტიტუტში უნდა მიიღონ 5-6 სტუდენტი, მაგრამ ეს არ სრულდება.

ამ მიზნით საჭიროა იმ მთიანი რაიონებისა და ქალაქების ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფა, სადაც სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის ბუნებრივი პირობები არსებობს. ასეთებია: მესტიის რაიონი, ჭიათურა, ლენტეხის რაიონი, ყაზბეგის რაიონი, ქუთაისი, ცხინვალი, თბილისი, ონის რაიონი, დმანისის რაიონი, ქარელი, დუშეთის რაიონი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს აგვისტოში ჭიათურაში გაიმართება იუნიორთა საკავშირო პირადგუნდური პირველობა მეკლდეურობაში, სადაც დაშვებულია საქართველოს ერთი გუნდი (სამი ჭაბუკი, სამი გოგონა) და ოთხი მონაწილე პირად პირველობაში, რომლებიც პროფკავშირული სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდის სახელით იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებისათვის შერჩეულია ნაკრები გუნდის კანდიდატები.

იმედია, პროფკავშირული სპორტსაზოგადოება იზრუნებს, რათა ნაკრები გუნდი კარგად მომზადებული შეხვდეს ამ ასპარეზობას.

**ლადო გურჩიანი,**
**სპორტის ოსტატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ორი შეხვედრა.

მინსკში გაიმართა VIII ტურის მატჩი ადგილობრივი და კიევის დინამოელთა კოლექტივებს შორის. თამაშის შედეგია 2:1 კიეველთა სასარგებლოდ.

XIII ტურიდან გადმოტანილი მატჩი შედგა ალმა-ათაში, ადგილობრივმა „კაირატმა“ მიიღო მოსკოვის „დინამო“.

შეხვედრის ანგარიშია 2:1 „კაირატის“ სასარგებლოდ.



## სსრ კავშირის თასზე

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების ორი ნახევარფინალური მატჩი.

მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. თამაში დამთავრდა 1:0 მოსკოველთა გამარჯვებით.

ვილნიუსში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი“ და ხარკოვის „მეტალისტი“. მატჩის შედეგია 1:2 „მეტალისტის“ სასარგებლოდ.

ამრიგად, ფინალში, რომელიც 28 მაისს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „ტორპედო“ და ხარკოვის „მეტალისტი“.

## ფეხბურთის ფედერაციის თასზე

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში ცვლილებები მოხდა, შეიცვალა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის განრიგიც. ამ შეჯიბრების 23 მაისის მატჩები გაიმართება 29 მაისს, თბილისის დინამოელები ამ დღეს შინ მიიღებენ ბაქოს „ნეფთჩის“.

## სკანდალი „სპარტაკში“

**მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდში მოხდა ფრიად უსიამოვნო ინციდენტი, რის თაობაზეც გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ აუწყებს მკითხველებს:**

ბაქოში, ადგილობრივ „ნეფთჩისთან“ დუბლიორთა მატჩის შემდეგ, რომელიც სპარტაკელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0, „სპარტაკის“ ხუთი მოთამაშე — ბ. კუზნეცოვი, ზ. ხაპოვი, ე. კუზნეცოვი, ვ. შიკუნოვი და ა. შამრინი ჩაიკეტნენ სასტუმროს ნომერში და შამპანურის სმას შეუდგნენ. სწორედ ამ საქმეში ამხილეს ისინი გუნდის ხელმძღვანელებმა.

მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის საერთო კრებაზე განიხილეს ამ მოთამაშეთა უმსგავსი საქციელი და ბ. კუზნეცოვი, ზ. ხაპოვი და ა. შამრინი გარიცხეს გუნდიდან. კრებამ შუამდგომლობა აღძრა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წინაშე, რათა პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცეს ე. კუზნეცოვსა და ვ. შიკუნოვს, გარდა ამისა, მომხდარის თაობაზე ოფიციალური ცნობა გაეგზავნა სსრ კავშირის ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებს, რომელთა წევრებადაც ირიცხებიან ე. კუზნეცოვი და ვ. შიკუნოვი. ამასთან, ორივე ფეხბურთელს საგრძნობლად დაუქვეითეს ხელფასი.

სასჯელი მკაცრია, მაგრამ სავსებით სამართლიანი, იგი მაგალითად უნდა იქცეს ყველასთვის, ვინც არაფრად მიიჩნევს საბჭოთა სპორტსმენისთვის დაწესებულ ეთიკურ ნორმებს.

# შარშან და წელს



## მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქციაქ! ამას წინათ თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა შედარებითი სტატისტიკური ცნობა შარშან და შარშანწინ საქართველოს სპორტსმენთა მიღწევების შესახებ საერთაშორისო სპორტულ არენაზე. წინსვლა შთამბეჭდავია, რამაც არ შეიძლება არ გაახაროს სპორტის გულშემატკივრები. თხოვნა გვაქვს, თუ შეიძლება უფრო განავრცოთ ის მშრალი ციფრები, დაგვისახელეთ ჩემპიონთა და გამარჯვებულთა გვარები, განსაკუთრებით გვაინტერესებს შარშანდელი წარმატებები და, თუ შესაძლებელია, წლევანდელიც. წინასწარ გიხდით მადლობას.

**გიორგი ქავჟარაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.
**ივანე ჟურჟა,**
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი.

### 1987 წ.

### მსოფლიო ჩემპიონები

1. **ლერი ხაბელოვი** (თავისუფალი ჭიდაობა)
2. **გურამ გედეხაური** (კლასიკური ჭიდაობა)
3. **ჯემალ მჭედლიშვილი** (სამბო, პირადი)
4. **ჯემალ მჭედლიშვილი** (სამბო, გუნდური)
5. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, გუნდური)

### მსოფლიო თასის მფლობელები

1. **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, პირადი)
2. **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა, გუნდური)
3. **ზაურ ივანაშვილი** (კლასიკური ჭიდაობა, პირადი)
4. **ზაურ ივანაშვილი** (კლასიკური ჭიდაობა, გუნდური)
5. **გურამ გედეხაური** (კლასიკური ჭიდაობა, პირადი)
6. **გურამ გედეხაური** (კლასიკური ჭიდაობა, გუნდური)
7. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, პირადი პპ-2)
8. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, გუნდური)
9. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, პირადი მპ-5)

### მსოფლიო პირველობებში გამარჯვებულნი

1. **თენგიზ თედორაძე** (კლასიკური ჭიდაობა)
2. **სერგეი არუთინიანი** (ფეხბურთი)
3. **ხური გელენავა** (ფეხბურთი)

### ევროპის ჩემპიონები

1. **ლერი ხაბელოვი** (თავისუფალი ჭიდაობა)
2. **ზაზა თურმანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა)
3. **მიხეილ გიორგაძე** (წყალბურთი)
4. **ჯემალ მჭედლიშვილი** (სამბო)
5. **კობა კურტანიძე** (ძიუდო)
6. **გიორგი თენაძე** (ძიუდო, გუნდური)
7. **გიორგი ჩოგოვაძე** (წყალში ხტომა)
8. **ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი, გუნდური)
9. **ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი, ესტაფეტა)
10. **ანდრეი დოლგარიოვი** (ტყვიის სროლა, გუნდური)
11. **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა)

### ევროპის თასის მფლობელი

1. **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა)

### ევროპის პირველობებში გამარჯვებულნი

1. **გიორგი ხიხიკაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა)
2. **გიორგი ივანაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა)
3. **აკაკი გაბედავა** (თავისუფალი ჭიდაობა)
4. **ვახტანგ ჯაფარიძე** (ძიუდო)
5. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, პპ-2)
6. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, მპ-5)

ზემოხსენებულ შეჯიბრებებში მოპოვებულია აგრეთვე 14 მეორე და მესამე ადგილები. **სსრ კავშირის ჩემპიონი** გახდა რესპუბლიკის 27 სპორტსმენი და ქუთაისის რეგბისტთა გუნდი „მშენებელი“. მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდა 46 სპორტსმენი. **სსრ კავშირის თასი:** ქუთაისის რეგბისტთა გუნდი, II ადგილი — 9, III — 16. **სსრ კავშირის პირველობებში გამარჯვებულნი** — 23, II — 22, III — 19. **საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი** — 40, II — 21, III — 17. **საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი**—55, II — 23, III — 34. **უნივერსიადა 87-ის ჩემპიონები** — 3, II — 3, III — 1. **სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ჩემპიონები** — 21 (პლუს ფეხბურთელთა, კალათბურთელთა (ჭაბუკები), ხელბურთელთა (ჭაბუკები), წყალბურთელთა და კალათბურთელ გოგონათა გუნდები).

### 1988 წელი (17 მაისის ჩათვლით)

### მსოფლიო ჩემპიონი

1. **რუსუდან ხოფერია** (ბატუტზე ხტომა, პირადი)
2. **რუსუდან ხოფერია** (ბატუტზე ხტომა, გუნდური)
3. **რუსუდან ხოფერია** (ბატუტზე ხტომა, სინქრონული)

### მსოფლიო თასის მფლობელი

1. **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა)

### ევროპის ჩემპიონები

1. **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა, გუნდური)
2. **ლერი ხაბელოვი** (თავისუფალი ჭიდაობა, პირადი)
3. **ლერი ხაბელოვი** (თავისუფალი ჭიდაობა, გუნდური)

### ევროპის თასის მფლობელები

1. **გიორგი ჩოგოვაძე** (წყალში ხტომა, პირადი)
2. **გიორგი ჩოგოვაძე** (წყალში ხტომა, გუნდური)
3. **ხრისტინა ფალასანიდი** (სინქრონული ცურვა, ჯგუფური)
4. **ხრისტინა ფალასანიდი** (სინქრონული ცურვა, გუნდური).

**ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის** მოპოვებულია ერთი მეორე ადგილი (პაატა ძოწენიძე, რეგბი). **ქვეყნის ჩემპიონი** გახდა 8 სპორტსმენი, II ადგილზე გავიდა — 7, III-ზე — 8. **სსრ კავშირის თასი:** I—1, II — 1. **სსრ კავშირის პირველობა:** 1 — 12 (პლუს ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდი), II — 9, III — 4. **საკავშირო შეჯიბრებებში:** I —22, (პლუს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი), II — 12 (პლუს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი), III—19 (პლუს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი). **საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი:** 1 — 29, II — 15, III —6.

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

**გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.**

### ინგლისი

**მე-40 ტური.** „ჩელსი“ — „ჩარლტონი“ 1:1, „ქოვენთრი“ — „ქუინს პარკი“ 0:0, „ევერტონი“ — „არსენალი“ 1:2, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „პორთსმუტი“ 4:1, „ნიუკასლი“ — „ვესთ ჰემი“ 2:1, „ნორვიჩი“ — „უიმბლდონი“ 0:1, „ნოტინგემი“ — „ოქსფორდი“ 5:3, „შეფილდი“ — „ლივერპული“ 1:5, „საუთჰემპტონი“ — „ლუტონი“ 1:1, გამოტოვებული მატჩები: „ნოტინგემი“ — „ნორვიჩი“ 2:0, „ტოტენჰემი“ — „ლუტონი“ 2:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „უიმბლდონი“ 2:1, „ლივერპული“ — „ლუტონი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 40 | 87-24 | 90 |
| „მანჩესტ. იუნ.“ | 40 | 71-38 | 81 |
| „ნოტინგემი“ | 38 | 65-37 | 71 |

ინგლისის თასის ფინალი: „უიმბლდონი“ — „ლივერპული“ 1:0.

### შოტლანდია

**44-ე ტური.** „აბერდინი“ — „მოზერეული“ 0:0, „სელტიკი“ — „დანფერმლაინი“ 1:0, „დანდი იუნაიტედი“ — „ჰართსი“ 0:0, „ფალკირკი“ — „რეინჯერსი“ 0:5, „ჰიბერნიანი“ — „მორტონი“ 3:1, „სენტ მირენი“ — „დანდი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 44 | 79-23 | 72 |
| „ჰართსი“ | 44 | 74-32 | 62 |
| „რეინჯერსი“ | 44 | 85-34 | 60 |

### გფრ

**32-ე ტური.** „შალკე 04“ — „აინტრახტი“ 0:0, „კარლსრუე“ — „ნიურნბერგი“ 2:0, „ჰამბურგი“ — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 3:2, „ბაიერი“ (ურდინგენი) — „ბაიერნი“ 0:0, „ჰანოვერი“ — „მიონჰენგლადბახი“ 2:4, „კიოლნი“ — „ვერდერი“ 2:0, „შტუტგარტი“ — „დორტმუნდი“ 2:2, „კაიზერსლაუტერნი“ — „ჰომბურგი“ 1:0, „ბოჰუმი“ — „მანჰეიმი“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვერდერი“ | 32 | 56-17 | 50 |
| „ბაიერნი“ | 32 | 77-41 | 44 |
| „კიოლნი“ | 32 | 51-27 | 44 |

### იტალია

**29-ე ტური.** „მილანი“ — „იუვენტუსი“ 0:0, „ფიორენტინა“ — „ნაპოლი“ 3:2, „აველინო“ — „ემპოლი“ 1:0, „ჩეზენა“ — „ინტერი“ 2:2, „ვერონა“ — „კომო“ 0:1, „ტორინო“ — „რომა“ 2:0, „სამპდორია“ — „პიზა“ 0:0, „პესკარა“ — „ასკოლი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 29 | 42-13 | 44 |
| „ნაპოლი“ | 29 | 54-25 | 42 |
| „რომა“ | 29 | 38-26 | 36 |

30-ე ტურში „მილანმა“ გასვლითი მატჩი „კომოსთან“ ფრედ დაამთავრა და ჩემპიონობა მოიპოვა.

### ბელგია

**32-ე ტური.** „ანდერლეხტი“ — „კორტრიკი“ 2:0, „ბევერენი“ — „რესინგი“ 3:0, „გენტი“ — „მეჰელენი“ 1:1, „ვინტერშლაგი“ — „შარლერუა“ 2:0, „ვარეგემი“ — „ლოკერენი“ 1:0, „მოლენბეკი“ — „ლიეჟი“ 0:0, „ბეერსხოტი“ — „ბრიუგე“ 1:1, „სტანდარდი“ — „სტ. ტრიუდენი“ 0:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე“ | 32 | 71-33 | 49 |
| „მეჰელენი“ | 32 | 46-23 | 46 |
| „ანტვერპენი“ | 31 | 68-35 | 45 |

### ჰოლანდია

**34-ე ტური.** „დორდრეხტი“ — „ეინდჰოვენი“ 0:4, „ტილბურგი“ — „ვენლო“ 1:1, „ცვოლე“ — „ვოლენდამი“ 0:0, „ჰარლემი“ — „სიტარდი“ 0:0, „გრონინგენი“ — „აიაქსი“ 2:1, „ალკმაარი“ — „ჰააგა“ 3:1, „როდა“ — „უტრეხტი“ 0:0, „სპარტა“ — „ტვენტე“ 1:5, „ფეიენორდი“ — „დენ ბოში“ 1:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 34 | 117-28 | 59 |
| „აიაქსი“ | 34 | 78-40 | 50 |
| „ტვენტე“ | 34 | 63-40 | 41 |

### ავსტრია

**31-ე ტური.** „რაპიდი“ — „ვინერ შპორტკლუბი“ 3:0, „გრაცერი“ — „აუსტრია“ 1:2, „ვიენა“ — „შტურმი“ 1:4, „ადმირა“ — „ტიროლი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რაპიდი“ | 31 | 66-30 | 48 |
| „აუსტრია“ | 31 | 77-40 | 40 |
| „შტურმი“ | 31 | 50-38 | 37 |

### პოლონეთი

**24-ე ტური.** „ლეგია“ — „ოლიმპია“ (პოზნანი) 3:1, „ვიძევი“ — „ლუბინი“ 1:1, „კატოვიცე“ — „შჩეცინი“ 1:0, „გდანსკი“ — „ვალბჟიხი“ 1:0, „ბიტომი“ — „გურნიკი“ 3:2, „ბიალისტოკი“ — ლკს (ლოძი) 1:0, „სლასკი“ (ვროცლავი) — „სტალოვა ვოლია“ 5:1, „ლეხი“ — „არკა“ (გდინია) 1:0.

| | | |
|---|---|---|
| „გურნიკი“ | 24 | 39 |
| „ლეგია“ | 24 | 34 |
| „კატოვიცე“ | 24 | 31 |

### უნგრეთი

**25-ე ტური.** „დოჟა“ — „კაპოშვარი“ 1:1, „ზალაეგერსზეგი“ — „ფერენცვაროში“ 0:2, „სიოფოკი“ — „სომბათხეი“ 3:3, მტკ — „ვაშაში“ 1:2, „დებრეცინი“ — „გიორი“ 1:3, „ჰონვედი“ — „პეჩი“ 3:0, „ვიდეოტონი“ — „ვაკი“ 0:0, „ტატაბანია“ — „ბეკეშჩაბა“ 2:1.

| | | |
|---|---|---|
| „ჰონვედი“ | 25 | 36 |
| „ტატაბანია“ | 25 | 33 |
| „დოჟა“ | 25 | 32 |

(საქ. ინფ.)

**საქართველოს პირველობა**

## მსაჯთა რეესტრი

**გთავაზობთ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მომდევნო, XII ტურის მსაჯთა რეესტრს.**

**21 მაისი**

**„მადაროელი“ (ჭიათურა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი).** ს. პრავოვე, გ. ჩიქოვანი, ა. ამიჩბა (გაგრა). **„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი).** ა. კიკაბიძე (მახარაძე), თ. მაჭარაძე (წულუკიძე), ვ. ჯიქია (ქობულეთი). **„დურუჯი“ (ყვარელი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ).** მ. კობიაშვილი, თ. სადილიანი, ბ. თოფურია (თბილისი). **„ივერია“ (ხაშური) — „მეშახტე“ (ტყიბული).** რ. გარნოვსკი, ა. ჯულაყიძე, გ. კვანტალიანი (სამტრედია). **„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „არმაზი“ (მცხეთა).** ვ. შელია, ბ. მიქაუტაძე, ა. კანდელაკი (ქუთაისი).

**22 მაისი**

**„სულორი“ (ვანი) — „შადრევანი“ (წყალტუბო).** გ. სეფიაშვილი, გ. ხეჩუაშვილი, ა. კლიმენკო (თბილისი). **„დინამო“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე).** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ბ. გვაზავა (აბაშა), ა. ქიქიაშვილი (მცხეთა). **„სქური“ (წალენჯიხა) — „ეგრისი“ (ცხაკაია).** ი. გობრონიძე, ა. ტრაბიცინი, თ. წულუკიძე (ფოთი). **„მადნეული“ (ბოლნისი) — „კოლხეთი“ (ხობი).** ჯ. წერეთელი, თ. ფოლადაშვილი, ა. ბექიაშვილი (რუსთავი). **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა).** ვ. ალიევი, ი. შალამბერიძე, ა. შილაკაძე (თბილისი).

## უახლოესი პრეტენდენტები

1987-1988 წლების საფეხბურთო სეზონის საუკეთესო ბომბარდირი ტრადიციულად „ოქროს ბუცით“ დაჯილდოვდება. სადღეისოდ ჯილდოს პრეტენდენტთა შორის უკეთესი მდგომარეობა აქვს თურქეთის „გალათასარაის“ თავდამსხმელს ტანჯუ ჩოლაკს, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე 35 გოლი გაიტანა.

მომდევნო ადგილებზე არიან: კოინი (ირლანდიის „დანდალკი“) — 33 გოლი (დარჩენილია 1 მატჩი), მაკკოისტი (შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“) — 29 (1), სანჩესი (მადრიდის „რეალი“) — 28 (3).

**ფეხბურთი ფეხბურთი**

## თასიც — „ეინდჰოვენს“

ჰოლანდიის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში ამას წინათ „ეინდჰოვენმა“ მოიპოვა, ამის შემდეგ კი ეს გუნდი თავისი ქვეყნის თასსაც დაეუფლა.

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გაიმართა ფინალური მატჩი „ეინდჰოვენსა“ და „როდას“ შორის. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 2:2, დამატებით დროში „ეინდჰოვენის“ დანიელმა მოთამაშემ ლერბიუმ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა — 3:2. დამარცხების მიუხედავად „როდა“, როგორც ფინალისტი, მომდევნო სეზონში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე იასპარეზებს.

თასის ფინალს ესწრებოდა „ეინდჰოვენის“ მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში, პორტუგალიის „ბენფიკის“ უფროსი მწვრთნელი ტონი ოლივეირა. მან მოკლე კომენტარი გაუკეთა თამაშს: „ან „ეინდჰოვენი“ რაღაცას გვიმალავს, ან მან სწორედ ახლა მიაღწია სპორტული ფორმის უმაღლეს მწვერვალს“.

### საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

გთავაზობთ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგ შეხვედრათა შედეგებს.

**14 მაისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 89:107 (45:50).**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ქართველიშვილი (20), ბოროდაჩოვი (19), ტურაშვილი (15), ტალაბაძე (12), რევაზიშვილი (8), ახვლედიანი (6), ხუხაშვილი (6), ჯაფარიძე (3).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ლიპარტელიანი (28), ფერიაშვილი (20), ჩერქეზიშვილი (19), კობეშავიძე (17), შავლოხოვი (14), უძილაური (6), დადიანი (3).

**15 მაისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 100:99 (52:48).**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი:** ბოროდაჩოვი (29), ტალაბაძე (19), ხუხაშვილი (16), ქართველიშვილი (14), რევაზიშვილი (10), ტურაშვილი (10), დვალი (2).

**ფიზკულტურის ინსტიტუტი:** ჩერქეზიშვილი (24), ფერიაშვილი (21), კობეშავიძე (18), უძილაური (17), ლიპარტელიანი (13), შავლოხოვი (4), დადიანი (2).

**14 მაისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ხინათლე“ (თბილისი) 97:83 (47:45).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გეგეშიძე (35), გიორგობიანი (14), ვაშაკიძე (11), სანაძე (9), გაბრიჩიძე (9), კოტრიკაძე (6), ორმოცაძე (5), პეტრიაშვილი (4), ცხვედიანი (4).



**„ხინათლე“:** გურასპაული (29), ძიძიგური (15), ლონლაძე (15), ქორქია (13), ძიძავა (5), ჩაჩხიანი (4), ჯორჯიკია (2).

**15 მაისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ხინათლე“ (თბილისი) 86:92 (48:49).**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** სანაძე (25), გეგეშიძე (21), გაბრიჩიძე (13), ვაშაკიძე (9), გიორგობიანი (6), ორმოცაძე (5), პეტრიაშვილი (4), კოტრიკაძე (3).

**„ხინათლე“:** ძიძავა (25), ბერუაშვილი (25), სინჯარაძე (14), გურასპაული (12), ქორქია (11), ლონლაძე (5).

**14 მაისი. ბათუმი — ქუთაისი 72:79 (32:45).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (35), შერვაშიძე (14), ქლენტი (9), მაისურაძე (9), დუმბაძე (2), ჩიხრაძე (2), ზოიძე (1).

**ქუთაისი:** ხუჯაძე (29), ანდღულაძე (20), აფრიდონიძე (16), გოქსაძე (12), გუბელაძე (2).

**15 მაისი. ბათუმი — ქუთაისი 85:86 (46:38).**

**ბათუმი:** მ. ემირიძე (49), შერვაშიძე (16), ქლენტი (9), მაისურაძე (8), მეტრეველი (3).

**ქუთაისი:** აფრიდონიძე (25), ანდღულაძე (23), ხუჯაძე (13), გოქსაძე (12), კანდელაკი (4), ხაბულიანი (3), ბუაძე (3), გუბელაძე (3).

## დაწინაურდა გია გიორგაძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. გენადი ზაიჩიკი თამაშის განუახლებლად დაუზავდა გოჩა ტყებუჩავას II ტურის გადადებულ პარტიაში, ხოლო იგორ ეფიმოვთან კი თავი დამარცხებულად ცნო (VI ტური).

იმავე დღეს გაიმართა V და VI ტურის გამოტოვებული პარტიები. გია გიორგაძემ დაამარცხა გია ბალათუროვი (V ტური), ხოლო თამაზ ტაბატაძემ სძლია ზურაბ მიქაძეს (VI ტური).

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულით დაწინაურდა გია გიორგაძე, მას ნახევარი ქულით ჩამორჩება თამაზ ტაბატაძე. 3-3 ქულით შემდეგ მოდიან გია ბალათუროვი, ბუხუტი გურგენიძე, გენადი ზაიჩიკი, თამაზ კიკიანი, იგორ ეფიმოვი (ყველა — თბილისი), ხვიჩა სუპატაშვილი, ბესიკ ხეცურიანი (ორივე — ქუთაისი).

## II ლიგა

16 მაისს გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, V ზონის შეხვედრები: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 0:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი) 2:0, „ურალანი“ (ელისტა) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „სპარტაკი“ (ანაპა) 0:0, „დინამო“ (სოხუმი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 1:0, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ნარტი“ (ჩერკასკი) 0:4, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:1 „ისკრა“ (ერევანი) — „ლუჩი“ (აზოვი) 1:0.

15 მაისს გაიმართა IX ზონის საკავშირო გათამაშების III ტურის შეხვედრები. „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „ტორპედო“ (ვოლჟსკი) 4:1, „სოკოლი“ (სარატოვი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 0:0, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 3:2, „დილა“ (გორი) — „თერგი“ (გროზნო) 1:0, „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მინერალური წყლები) — „გოიაზანი“ (გაზახი) 0:0, „ვოსხოდი“ (სუმგაითი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:1, „ბაკინეცი“ (ბაქო) — „ლოკომოტივი“-ოლიმპიური მომზადების ცენტრი (თბილისი) 1:0.

**გათამაშების ცხრილები** №3

**IX ზონა.**

**მდგომარეობა 19 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გოიაზანი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 5 |
| „სოკოლი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 |
| „მეტალურგი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| „ტორპედო“ ქ. | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| „ქიაფაზი“ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 4 |
| „შევარდენი“-სპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 4 |
| „დილა“ | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 4 |
| „ტექსტილშჩიკი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-3 | 2 |
| „ლოკომ.“ ო. მ. ც. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 2 |
| „თერგი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 2 |
| „ტორპედო“ ვ. | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 2 |
| „დინამო“ | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 2 |
| „ბაკინეცი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 1-6 | 2 |
| „ატომმაში“ | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| „ლოკომ.“ (მინ. წ.) | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| „ვოსხოდი“ | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

**III ზონა**

**მდგომარეობა 19 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ ო. | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 7 |
| „სპარტაკი“ ტ. | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 6 |
| „ლოკომოტივი“ | 5 | 3 | 0 | 2 | 8-5 | 6 |
| „დინამო“ | 5 | 3 | 0 | 2 | 5-2 | 6 |
| „ნარტი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 6 |
| „სპარტაკი“ ნ. | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 5 |
| „კოლხეთი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 2-4 | 5 |
| „ლორი“ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 5 |
| „ისკრა“ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 5 |
| „სპარტაკი“ ა. | 5 | 2 | 1 | 2 | 6-9 | 5 |
| „ცემენტი“ | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 5 |
| „დრუჟბა“ | 5 | 2 | 0 | 3 | 7-4 | 4 |
| „ლუჩი“ | 4 | 2 | 0 | 2 | 9-8 | 4 |
| „მაშუკი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 4 |
| „ვოლგარი“ | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 3 |
| „მეტალურგი“ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 3 |
| „ურალანი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 3 |
| „ტორპედო“ | 4 | 0 | 3 | 1 | 6-7 | 3 |
| „მერცხალი“ | 5 | 1 | 0 | 4 | 3-8 | 2 |
| „ოლიმპია“ | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 2 |

### ევროპის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

# წარმოგიდგენთ პრიზიორებს

**როგორც** ვიუწყებოდით, ნორვეგიის ქალაქ კოლბოტნში დამთავრდა ევროპის 47-ე ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. დამთავრდა იგი საბჭოთა ათლეტების დამაჯერებელი გუნდური გამარჯვებით — 85 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ჩვენი ტრადიციული მეტოქეები — ბულგარეთისა (78 ქულა) და უნგრეთის (66 ქულა) „კლასიკოსები“.

ტრადიციის თანახმად გაგაცნობთ პრიზიორთა გვარებს ყველა წონით კატეგორიაში:

**48 კგ.** 1. ლ. რონინგენი (ნორვეგია), 2. ს. სუვოროვი (სსრკ), 3. ბ. ცენოვი (ბულგარეთი).

**52 კგ.** 1. ა. იგნატენკო (სსრკ), 2. ი. რონინგენი (ნორვეგია), 3. ვ. კრუმოვი (ბულგარეთი).

**57 კგ.** 1. ა. შესტაკოვი (სსრკ), 2. ს. ბალოვი (ბულგარეთი), 3. ა. სიკე (უნგრეთი).

**62 კგ.** 1. ი. ბოდი (უნგრეთი), 2. ნ. ნენჩევი (ბულგარეთი), 3. ა. რუბინიანი (სსრკ).

**68 კგ.** 1. ა. რეპკა (უნგრეთი), 2. პ. კარარე (რუმინეთი), 3. ლ. ლაგებორგი (შვეცია).

**74 კგ.** 1. ბ. დეციევი (სსრკ), 2. ი. ზემანი (ჩეხოსლოვაკია), 3. ი. ტაკაჩი (უნგრეთი).

**82 კგ.** 1. მ. მამიაშვილი (სსრკ), 2. ტ. კომარომი (უნგრეთი), 3. ტ. ნიემი (ფინეთი).

**90 კგ.** 1. ი. იორდანოვი (ბულგარეთი), 2. შ. მაიორი (უნგრეთი), 3. პ. პოტაპოვი (სსრკ).

**100 კგ.** 1. ა. ფედორენკო (სსრკ), 2. ი. ტერტეი (იუგოსლავია), 3. გ. ჰიმელი (გფრ).

**130 კგ.** 1. ა. კარელინი (სსრკ), 2. კ. რადოევი (ბულგარეთი), 3. ტ. იუჰანსონი (შვეცია).

# ლესელიძის მემორიალი

დაბა ლესელიძის სპორტულ კომპლექსზე მეცხრედ ჩატარდა საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი მძლეოსნობაში. შეჯიბრების პროგრამაში, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მხოლოდ ტყორცნა შედიოდა.

ბირთვის კვრაში საბჭოთა კავშირის ყველა უძლიერესი მძლეოსანი გამოდიოდა და ამ კომპანიაში ტარიელ ბიწაძის (მწვრთნელი თამაზ ჭედიშ) მესამე ადგილი დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. სოხუმელმა მძლეოსანმა ბირთვი 20,15 მეტრზე ჰკრა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. გამარჯვება კი ცნობილმა ლენინგრადელმა სპორტსმენმა სერგეი სმირნოვმა მოიპოვა — 20,72 მ.

შუბის ტყორცნაში კარგად იასპარეზა მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა საიდა გუნბამ (მწვრთნელი ილია გიგაური), რომელმაც მე-4 ადგილი დაიკავა — 59,72 მ. აღსანიშნავია, რომ იგი მხოლოდ 92 სმ-ით ჩამორჩა ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორს ბელორუსიელ ტატიანა შინკარენკოს. პირველ ადგილზეც შინკარენკოა, ოღონდ უფროსი და, ნინა — 63,12 მ.

ვაჟთა შორის თბილისელმა გენადი არჯევანიძემ (მწვრთნელი ნიკოლაი ორფანოვი) მეორე შედეგი აჩვენა — 73,46 მ. მან პირველობა რსფსრ-ის წარმომადგენელ ოლეგ პახომს დაუთმო — 76,58 მ.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში IV ადგილზე გავიდა კიდევ ერთი თბილისელი მძლეოსანი ელვირა ურუსუოვა (მწვრთნლეი გივი ჩადუნელი) — 17,03 მ.



# ავტოსპორტის მოყვარულთათვის!

**ბევრ თქვენგანს,** ალბათ, ტელევიზიით უნახავს რეკლამებით გაფორმებული ფიცარნაგი, საიდანაც მსაჯის ნიშნის შემდეგ, ერთიმეორის მიყოლებით ეშვებიან ლამაზად მოხატული ავტომობილები. ასეთი სანახაობის მოწმე შეგიძლიათ გახდეთ შაბათს, 21 მაისს, თბილისში, რიყის ტერიტორიაზე, საიდანაც სტარტს აიღებენ სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატის მონაწილე ავტორალისტები. აქედან ისინი გაემგზავრებიან რუსთავის გზატკეცილზე მდებარე რესპუბლიკის დოსააფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზისკენ. შემდეგ სპორტსმენებს ძალზე რთული ორდღიანი ასპარეზობა ელით. მონაწილეთა შორის, რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც არიან.

მაშ ასე, შაბათს ავტოსპორტის მოყვარულებს გიწვევთ რიყეზე. პირველ ეკიპაჟს დღის 11 საათზე მიეცემა სტარტი.

### ტელეტაიპი - მკითხველი

**კანბერა.** წყალბურთელთა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში, რომლის დამთავრებას ერთი ტურიღა აკლია, უნგრეთისა და საფრანგეთის გუნდებმა უკვე გაინაღდეს სეულის საგზურები. ისინი შესაბამისად I და II ჯგუფებში იასპარეზებენ. შვიდმა კოლექტივმა ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მიიღო. ახლა დარჩა სამი საგზური, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ აქ მოასპარეზე ავსტრალიის, ჩინეთის, კანადის, საბერძნეთის, ბულგარეთისა და ბრაზილიის გუნდები.

**ათენი.** მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე რალფ ჰაბერმა (გდრ) თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. მისი შედეგი 83 მ 40 სმ. წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა. შეგახსენებთ, რომ 83-მეტრიანი ზღვარი აქამდე მხოლოდ საბჭოთა მძლეოსნებს ჰქონდათ დაძლეული. ჰაბერის შედეგი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო უროსმტყორცნელთა სიაში მეხუთეა იური სედიხის, სერგეი ლიტვინოვის, იური ტამისა და იგორ ნიკულინის მაჩვენებლების შემდეგ.

**ნიუ-იორკი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში, რომელშიც ტრადიციულად ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოდის, აშშ საკმაოდ სოლიდურ გუნდს ჩაიყვანს. დიდი ხნის შესვენების შემდეგ კორტზე გამოვლენ კრის ევერტი და ჯონ მაკინროუ.

**ტორონტო.** მსოფლიოს უძლიერესმა სპრინტერმა, კანადელმა ბენ ჯონსონმა ვარჯიში განაახლა. როგორც ცნობილია, ამას წინათ ტოკიოში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე მან უმნიშვნელო ტრავმა მიიღო, მაგრამ უკვე გამოჯანმრთელდა, 27 მაისს პარიზში ერთმანეთს შეხვდებიან ბენ ჯონსონი და ამერიკელი კარლ ლუისი. ეს იქნება ცნობილ მძლეოსანთა პირველი დასწრებული ორთაბრძოლა მიმდინარე სეზონში.

# მძლეოსანთა სტარტები

**სოხუმი.** ვიქტორ სანეევის ტრადიციულ მემორიალში, რომელიც აქ ჩატარდა, ბრწყინვალე შედეგი აჩვენა 23 წლის ხაბაროვსკელმა სამხტომელმა ანდრეი კაიუკოვმა — 17 მ. 23 სმ. ახალგაზრდა მძლეოსნის მაჩვენებელი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა. თავი გამოიჩინა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა სიგრძეზე ხტომაში მინსკელმა ელენა ბელევსკაიამაც. მან 721 სანტიმეტრი დაძლია.

**ლესელიძე.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 22 წლის მოსკოველმა ვალენტინა ფედიუშინამ ბირთვი 21 მ. და 8 სმ-ზე კრა და წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი აჩვენა (მსოფლიოში — მესამე). სსრ კავშირის რეკორდსმენის ლენინგრადელი სერგეი სმირნოვის შედეგი 20 მეტრი და 79 სანტიმეტრი გახლდათ. ელენა ზვერევამ კი (მოსკოვის ოლქი) ბადრო 68 მ და 6 სმ-ზე ტყორცნა. ყველა ეს მაჩვენებელი საერთაშორისო კლასის შედეგია და მძლეოსანთა კარგ მომზადებაზე მეტყველებს.

## შედეგი, რომელსაც ვერავინ გააუმჯობესებს

**მინსკი.** ასეთი შედეგი აჩვენა ადგილობრივმა მსროლელმა სერგეი მარტინოვმა. პნევმატური შაშხანით მან 600 შესაძლებლიდან 600 სამიზნე დააზიანა და ოფიციალური მსოფლიო რეკორდი მთელი 4 ქულით გააუმჯობესა. ამ ფენომენალურ მაჩვენებელს მინსკელმა კურსანტმა არმიელ მსროლელთა შეჯიბრებაზე მიაღწია.

20 წლის სნაიპერმა თავი პირველად საბჭოთა კავშირის ხალხთა შარშანდელ სპარტაკიადაში გამოიჩინა, როცა უმაღლეს ტიტულს დაეუფლა. წლეულს კი ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში ოქროს მედალი დაისაკუთრა.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის ყოფილი უფროსი მასწავლებელი

**სერგო იულონის ძე კორძაია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05352